



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 284

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს N689-N703 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ იქნეს N22, N85, N268 და N388 პუნქტები.

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ბექა ყანჩელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
689	მიწის ნაკვეთი	თაბუკაშვილის ქუჩა N213-ის მიმდებარედ	622	03.05.25.443
690	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა N25-ის მიმდებარედ	111	03.01.24.593
691	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N13გ	2251	03.05.24.928
692	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N13გ	2283	03.05.24.929
693	მიწის ნაკვეთი	ბუხაიძის ქუჩის მე-2 მკრ. N25-ის სამხრეთით	50	03.01.22.305
694	მიწის ნაკვეთი	ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N18-ის აღმოსავლეთით	50	03.01.24.632
695	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა N13ა-ს ჩრდილოეთით	43	03.01.24.630
696	მიწის ნაკვეთი	ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N20-ის სამხრეთით	40	03.01.24.631
697	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირი N82ა-ს აღმოსავლეთით	80	03.06.25.528
698	მიწის ნაკვეთი	მაისურამის ქუჩა N2-ის ჩრდილოეთით	70	03.05.25.488
699	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N15-ის მიმდებარედ	100	03.05.27.020
700	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N10ა-ს სამხრეთით	63	03.05.24.931
701	მიწის ნაკვეთი	თაბუკაშვილის ქუჩა N111-ის მიმდებარედ	541	03.05.25.482
702	მიწის ნაკვეთი	ბუხაიძის ქუჩა N12-ის ჩრდილოეთით/ბუხაიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ	1289	03.01.22.303
703	მიწის ნაკვეთი	ბუხაიძის ქუჩა N12-ის ჩრდილოეთით/ბუხაიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ	18	03.01.22.301

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ბექა ყანჩელი